186
1979

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი—ივნისი

1979 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი—ივნისი 1979 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

39. „ქალაქ სოხუმში სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 მარტის № 224 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
40. საგურამოს ეროვნული პარკისათვის სახელის გადარქმევის შესახებ.
41. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ლ. შ. დავითაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.
42. 1979-1980 წლებში საექსპლუატაციოდ გადასაცემი ასამუშავებელი ობიექტების მშენებლობაზე „სამუშაო ესტაფეტის“ პრინციპით მომიჯნავე ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.
43. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 დეკემბრის № 710 დადგენილების დამატების შესახებ.
44. ს. ს. ქობულაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.
45. საზოგადოებრივი ორგანიზაციების საშემოსავლო გადასახადის შეღავათების შესახებ.
46. 1979-1980 წლებში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ინტენსიფიკაციის მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამოთვლითი ტექნიკის, მშენებლობის დარგში საუკეთესო ნამუშევრების რესპუბლიკური კონკურსების თემატიკის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

47. „საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 24 თებერვლის № 105 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

48. სოფელთან კავშირგაწყვეტილ პირთა მფლობელობაში არსებული სახლებითა და დამხმარე ნაგებობებით დაკავებული მიწის ფართობის აღრიცხვის მოწესრიგებისა და მათი გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

49. საქართველოს სსრ მხატვრული თვითმოქმედების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

50. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების რეკომენდაციებში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

51. ყველზე შესასყიდი ფასების შესახებ.

52. საქართველოს სსრ საკოლმეურნეო ბაზრებში გაწეული მომსახურების ანაზღაურების ზღვრული განაკვეთები.

53. საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემო ბუნებისადმი კონტროლის სამმართველოს ცალკეული ორგანიზაციების მუშაკებისათვის საბინაო შეღავათების მინიჭების შესახებ.

54. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

39 „ქალაქ სოხუმში სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 მარტის № 224 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის თხოვნა და გადიდდეს 1979/80 სასწავლო წელს აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დღის განყოფილებაზე მისაღები კონტინგენტი 80 კაცით, ზოგიერთ სპეციალობაში ადგილების გადანაწილებით.

2. ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის შესაბამისად ნაწილობრივ შეიცვალოს „ქალაქ სოხუმში სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 მარტის № 224 დადგენილების მე-3 პუნქტი, დანართის თანახმად.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად შეიტანოს შესაბამისი კორექტივები აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღების 1979/80 სასწავლო წლის გეგმაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 15 მაისი, № 334

ქ. ცაბაძის სახ. ს.ბ. სსრ. ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 15 მაისის № 334 დადგენილების დანართი

აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დღის განყოფილებაზე 1979 80 სასწავლო წელს დამატებითი მისაღები კონტინგენტი

სპეციალობის შიფრი	სპეციალობის დასახელება	მიღების გეგმა			
		საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 მარტის № 224 დადგენილების თანახმად	დაზუსტებული	სხვაობა	
				+	—
1737	საბუღალტრო აღრიცხვა	50	60	10	—
2103	უცხო ენები	25	35	10	—
2108	ისტორია	20	40	20	—
2104	მათემატიკა	25	40	15	—
2105	ფიზიკა	50	40	—	10
2106	ბიოლოგია	20	40	20	—
2107	გეოგრაფია	20	30	10	—
2114	ფიზიკური აღზრდა . .	20	30	10	—
2120	ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომა . .	25	20	—	5
2121	დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა	25	30	5	—
2110	პედაგოგიკა და ფსიქოლოგია (სკოლამდელი)	25	20	—	5

შენიშვნა: სხვა სპეციალობებში მიღების გეგმა უცვლელი რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

40 საგურამოს ეროვნული პარკისათვის სახელის გადარქმევის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 6 მარტის № 143 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაცვლელად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

საგურამოს ეროვნულ პარკს ამიერიდან ეწოდოს თბილისის ეროვნული პარკი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. კოლგინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 22 მაისი, № 372

41 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ლ. შ. დავითაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინადადება გამოჩენილი მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ლეო შიოს ძე დავითაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ და ამასთან დაკავშირებით:

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ლ. შ. დავითაშვილის სახელი მიენიჭოს:

— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტს;

ქ. თბილისის ერთ-ერთ ქუჩას;

— ქ. თბილისის 57-ე საშუალო სკოლას.

2. დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რომ დააყენოს მემორიალური დაფა სახლზე, რომელშიც ლ. შ. დავითაშვილი ცხოვრობდა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, რომ დადგას ბიუსტი განსვენებულის საფლავზე.

4. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასტიპენდიო ფონდიდან ლ. შ. დავითაშვილის სახელობის ერთი სტიპენდია დაწესონ გეოლოგიის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 12 ივნისი, № 443

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

42 1979-1980 წლებში საექსპლუატაციოდ გადასაცემი ასამუშავებელი ობიექტების მშენებლობაზე „სამუშაო ესტაფეტის“ პრინციპით მომიჯნავე ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

1979-1980 წლების მანძილზე რესპუბლიკაში საექსპლუატაციოდ გადასაცემ ობიექტებზე შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გადიდების, მოწინავე მეთოდების ფართოდ გავრცელების, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების მიზნით და მათი ვადამდე საექსპლუატაციოდ გადაცემის უზრუნველსაყოფად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. რჩევა მიეცეთ შემკვეთ და მიმწოდებელ სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს, საპროექტო-სატრანსპორტო, საიჯარო, სუბსაიჯარო ორგანიზაციებსა და სამშენებლო კონვეიერის სხვა მონაწილეებს ჩაებან „სამუშაო ესტაფეტის“ პრინციპით კომპლექსურ სოციალისტურ შეჯიბრებაში დევიზით „ერთმანეთისადმი პრეტენზიების ნაცვლად ერთმანეთის დახმარება და მხარდაჭერა“.

2. დამტკიცდეს 1979-1980 წლებში საექსპლუატაციოდ გადასაცემი კაპიტალური მშენებლობის ობიექტების მშენებლობაში მონაწილე სამშენებლო-სამონტაჟო, სპეციალიზებული ორგანიზაციების, შემკვეთი ორგანიზაციების, საპროექტო ინსტიტუტების, მიმწოდებლებისა და სხვა ორგანიზაციების კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

3. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა პრაქტიკული დახმარება გაუწიონ „სამუშაო ესტაფეტის“ პრინციპით სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას და დააწესონ სისტემატური კონტროლი მისი შესრულების მიმდინარეობისადმი.

4. „სამუშაო ესტაფეტის“ პრინციპით მომიჯნავე ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური სტიმულირების მიზნით ყოველწლიურად გამოიყოს რიგგარეშე მიყიდვისათვის მსუბუქი ავტომანქანები, ავეჯის გარნიტურები, ტურისტული საგზურები ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში სამოგზაუროდ, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები, დანართის თანახმად.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 7 თებერვლის № 116 დადგენილებით დამტკიცებული პირობები სამშენებლო-სამონტაჟო, სპეციალიზებულ ორგანიზაციათა და იმ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა, რომლებიც მასალებითა და ნაკეთობებით უზრუნველყოფენ კაპიტალური მშენებლობის ასამოქმედებელ ობიექტებს.

6. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
გ. კოლბინი.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. პატარიძე.

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
თ. მოსაშვილი.

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ჟ. შარტავა.

ქ. თბილისი, 1979 წ. 14 მაისი, № 346

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 14 მაისის № 346 დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

1979-1980 წლებში საექსპლუატაციოდ გადასაცემი კაპიტალური მშენებლობის ობიექტების მშენებლობაში მონაწილე სამშენებლო-სამონტაჟო, სპეციალიზებული ორგანიზაციების, შემკვეთი ორგანიზაციების, საპროექტო ინსტიტუტების, მიმწოდებლებისა და სხვა ორგანიზაციების კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა

I. რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან სამშენებლო, სამონტაჟო, სპეციალიზებული ორგანიზაციების, მიმწოდებელი, შემკვეთი ორგანიზაციების, საპროექტო ინსტიტუტებისა და მშენებლობის სხვა მონაწილეთა კოლექტივები, რომლებიც უზრუნველყოფენ საანგარიშო კვარტალში, ნახევარ წელიწადში, ცხრა თვესა და მთლიანად წლის განმავლობაში შემდეგი პირობების დაცვას:

გენსაიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების ხაზით:

1. ვადამდე შეასრულებენ ყველა ასამუშავებელი ობიექტის საექსპლუატაციოდ გადაცემის 3, 6, 9 თვის და წლიურ გეგმებს, აგრეთვე დაამთავრებენ ქიმიის ობიექტების სამუშაოთა ეტაპებს არანაკლებ „კარგი“ შეფასებით.

2. გადაჭარბებით შეასრულებენ ასამუშავებელ ობიექტებზე განსახორციელებელ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმას.

3. გადაჭარბებით შეასრულებენ გამომუშავების გეგმას, ამასთან უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების უპირატეს ზრდას ხელფასის ზრდასთან შედარებით.

4. შეასრულებენ ბრიგადული იჯარის დანერგვის გეგმას.

5. ეკონომიურად დახარჯავენ საშენ მასალებს.

მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის ორგანიზაციების ხაზით:

1. ვადამდე შეასრულებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გეგმებს.

2. გადაჭარბებით შეასრულებენ ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების გამომუშავების ნორმებს.

3. შეამცირებენ მექანიზმების გარემონტებისა და რემონტის მოლოდინის დროს.

4. შეამცირებენ მანქანებისა და მექანიზმების არამწარმოებლურ მოცდენას.

5. ეკონომიურად დახარჯავენ საწვავ-საპოხ მასალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუბსაიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო საწმართველოების ხაზით:

1. ვადამდე შეასრულებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა 3, 6, 9 თვის და წლიურ გეგმებს არანაკლებ „კარგი“ შეფასებით.
2. გადაჭარბებით შეასრულებენ ასამუშავებელ ობიექტებზე განსახორციელებელ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა გეგმას.
3. გადაჭარბებით შეასრულებენ გამომუშავების გეგმას, ამასთან უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების უპირატეს ზრდას ხელფასის ზრდასთან შედარებით.
4. ეკონომიურად დახარჯავენ საშენ მასალებს.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტების „მშენინდუსტრიისა“ და „მშენკომპლექტის“ ხაზით:

1. ვადამდე შეასრულებენ გათვალისწინებული ნომენკლატურის სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების გეგმას სახელმწიფო სტანდარტების სრული შესაბამისობით.
2. რიტმულად და ვადამდე შეასრულებენ გათვალისწინებული ნომენკლატურის საშენი მასალების, რკინაბეტონისა და სადურგლო ნაკეთობების მიწოდების გეგმას სახელმწიფო სტანდარტების სრული შესაბამისობით.
3. შეასრულებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებებს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპსა და ხელფასის ზრდის ტემპს შორის სწორი თანაფარდობის დაცვით.
4. შეასრულებენ სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვების გეგმას.
5. უზრუნველყოფენ ნედლეულისა და მასალების ეკონომიას.
6. შეასრულებენ ახალი ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის გეგმას.

საპროექტო ინსტიტუტების ხაზით:

1. ვადამდე გამოუშვებენ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას და უზრუნველყოფენ მის მაღალ ხარისხს.
2. უზრუნველყოფენ სისტემატურ საავტორო ზედამხედველობას და ტექნიკური დახმარების გაწევას.

შემკვეთი ორგანიზაციების ხაზით:

1. უზრუნველყოფენ ტექნიკურ კონტროლს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისადმი.
2. დროულად გახსნიან დაფინანსებას და გაათავისუფლებენ მშენებლობისათვის განკუთვნილ ტერიტორიას.
3. უზრუნველყოფენ მშენებლობებს მოწყობილობითა და სპეციალური მასალებით მიწოდების გრაფიკის ზუსტი შესაბამისობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. უზრუნველყოფენ მშენებლობის ობიექტებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით დაგეგმილი წლის წინა წლის 1 სექტემბრამდე.

5. შეასრულებენ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირების სამუშაოებს მშენებელთა შენიშვნების შესაბამისად სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ ვადებში.

სატრანსპორტო ორგანიზაციების ხაზით:

1. დროულად და შეუფერხებლად შეზიდავენ საშენ მასალებსა და ნაკეთობებს, შეასრულებენ ტვირთზიდვის გეგმას.

2. შეასრულებენ ამხ. ე. პ. ფედიუდინის მეთოდის მიხედვით ბრიგადული იჯარის დანერგვის გეგმას.

II. წლის შედეგების მიხედვით „სამუშაო ესტაფეტის“ პრინციპით რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად:

1. წესდება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ხუთი გარდამავალი წითელი დროშა სამრეწველო მშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო მშენებლობის, საბინაო მშენებლობის, ქიმიის, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის.

2. გამარჯვებულნი წარდგენილ იქნებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დასაჯილდოებლად.

3. გამარჯვებულები 3, 6, 9 თვის და მთელი წლის შედეგების მიხედვით წახალისების წესით რიგგარეშე შეიძენენ ავტომანქანებსა და ავეჯის გარნიტურებს, აგრეთვე მატერიალური წახალისების ფონდიდან მიეცემათ ფულადი პრემია ერთი თვის სარგოს ოდენობით, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საწარმოო დავალების შესრულებისათვის (დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასული მშენებლობებისა და საწარმოებისათვის).

III. სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა ყოველთვიურად განიხილება სამშენებლო სამინისტროთა და უწყებათა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიათა სხდომებზე „სამუშაო ესტაფეტის“ პრინციპით კომპლექსური შეჯიბრების ყველა მონაწილესთან ერთად. მასალები საანგარიშო თვის მომდევნო თვის 12 რიცხვამდე წარედგინება მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიისათვის მოსახსენებლად.

„სამუშაო ესტაფეტის“ პრინციპით რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილე ყველა ორგანიზაცია მოამზადებს მასალებს 3, 6, 9 თვის და მთელი წლის შეჯიბრების შედეგების შესაჯამებლად და წარუდგენს მათ მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკურ კომიტეტს არა უგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისია შეაჯამებს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს არა უგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 25 რიცხვისა და წარადგენს მასალებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განსახილველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 14 მაისის № 346 დადგენილების დანართი

ნუსხა

ავტომანქანებისა, ავეჯის გარნიტურებისა და საგზურებისა, რომლებიც გამოიყოფა 1979-1980 წლებში საექსპლუატაციოდ გადასაცემი ასამუშავებელი ობიექტების მშენებლობაზე რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა მატერიალური სტიმულირებისათვის

დასახელება	რაოდენობა	შენიშვნა
1. მსუბუქი ავტომანქანები „ჟიგული“ და „მოსკვიჩი“	4000, მათ შორის 100 — ქიმიის ობიექტებისათვის	1979 წელს
2. ავეჯის გარნიტურები	3000, მათ შორის 100 — ქიმიის ობიექტებისათვის	1979 წელს
3. ტურისტული საგზურები ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში სამოგზაუროდ (წლის შედეგების მიხედვით)	60 (2 ჯგუფი) ქიმიის ობიექტებისათვის	
4. სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები, აგრეთვე ტურისტული საგზურები	100 — ქიმიის ობიექტებისათვის	

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი

43 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 დეკემბრის № 710 დადგენილების დამატების შესახებ

„ბუნების ძეგლებისა და ობიექტების დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 დეკემბრის № 710 დადგენილების დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის რესპუბლიკური კომისიის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს და დმანისის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წინადადება და სახელმწიფო დაცვას დაექვემდებაროს ნამარხი ფაუნის ადგილსაპოვებლის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მდებარეობს თბილის-წითელი ხიდის 26-ე კილომეტრზე იაღლუჯის მთის გადამკვეთი ღრმა ხევის ქვედა ნაწილის მარჯვენა მხარეს პატარა ხევში 0,5 ჰექტარ ფართობზე, და ეწოდოს მას „იაღლუჯის პალეონტოლოგიური ობიექტი“.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უზრუნველყოს პალეონტოლოგიური ობიექტის მოვლა-პატრონობა.

ადგილსაპოვებლის ძირითადი ნაწილის 500 კვადრატული მეტრი ფართობის გამაგრებისა და კეთილმოწყობის სამუშაოთა განხორციელებისათვის სათანადო პროექტის შედგენა და მშენებლობა გაითვალისწინოს 1980 წლისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტს დააჩქაროს ადგილსაპოვებლის გათხრა და მეცნიერული შესწავლა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 21 მაისი, № 336

ეროვნული ბიბლიოთეკა

44 ს. ს. ქობულაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მხატვრისა და საზოგადო მოღვაწის, სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორეს-პონდენტის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის სერგო სოლომონის ძე ქობულაძის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— დადგას ს. ს. ქობულაძის ბიუსტი განსვენებულის საფლავზე დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში;

— მიაკუთვნოს ს. ს. ქობულაძის სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას;

— გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, სადაც ცხოვრობდა ს. ს. ქობულაძე.

2. დაწესდეს ს. ს. ქობულაძის სახელობის ერთი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

3. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცეს ს. ს. ქობულაძის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მონოგრაფია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 29 მაისი, № 376

45 საზოგადოებრივი ორგანიზაციების საშემოსავლო გადასახადის შეღავათების შესახებ

„კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საშემოსავლო გადასახადის შეღავათების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 1 მარტის № 208 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

განთავისუფლდეს 1979 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან მოგების თანხები, რომელთაც საზოგადოებრივი ორგანიზაციები ნებაყოფლობით გადასცემენ სახელმწიფო საჭიროებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 30 მაისი, № 380

ეროვნული ბიბლიოთეკა

46 1979-1980 წლებში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამოთვლითი ტექნიკის, მშენებლობის დარგში საუკეთესო ნამუშევრების რესპუბლიკური კონკურსების თემატიკის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი თემატიკა 1979-1980 წლებში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამოთვლითი ტექნიკის, მშენებლობის დარგში საუკეთესო ნამუშევრების რესპუბლიკური კონკურსებისა:

მრეწველობის დარგში:

— მრეწველობაში ხელის შრომის მექანიზაციის სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა და ორგანიზაციულ ღონისძიებათა შემუშავება და დანერგვა;

— მრეწველობაში საწარმოო ნარჩენების გამოყენებისათვის ახალი ტექნოლოგიური პროცესებისა და მოწყობილობის შემუშავება და დანერგვა;

— მრეწველობაში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის ღონისძიებათა შემუშავება და დანერგვა;

სოფლის მეურნეობის დარგში:

— კოლხეთის დაბლობის პირობებში სამუშაოდ მექანიზაციის საშუალებათა შემუშავება და დანერგვა;

— ზამთრის პერიოდში მემცენარეობის პროდუქტების შენახვის ეფექტიანი მეთოდების შემუშავება და დანერგვა;

— ბრუცელოზითა და ტუბერკულოზით სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დაავადების ლიკვიდაციის ეფექტიან ღონისძიებათა შემუშავება;

მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამოთვლითი ტექნიკის დარგში:

— მართვის ავტომატიზებული სისტემისათვის გამოყენებითი პროგრამების პაკეტის დანერგვა;

მშენებლობის დარგში:

— ახალი საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების შემუშავება და ათვისება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 31 მაისი, № 381.

ეროვნული ბიბლიოთეკა

47 „საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 24 თებერვლის № 105 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამაღლდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს კომპეტენცია, გაიზარდა და კონკრეტული გახდა მისი სამოქმედო ასპარეზი. მას დაეძატა ყველა საჭირო სპეციალური რგოლი, რომლებიც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული, გაფართოვდა მისი სამეურნეო უფლებამოსილება. განმტკიცდა და გაძლიერდა რესტავრაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ერთისამად გაიზარდა კულტურის ძეგლთა კონსერვაციის, რესტავრაციისა და ადაპტაციის მოცულობა. დამთავრდა სვეტიცხოვლის, ზედა ვარძიის, გერგეტის, ბეთანიის, ახალი ზარზმის, სვანეთის 42 კოშკისა და სხვა არქიტექტურული ძეგლების სარესტავრაციო-გამაგრებითი სამუშაოები. სულ 1978 წელს სარესტავრაციო სამუშაოები 80-მდე ძეგლზე წარმოებდა, დაწყებულია ლიხნისა და ლენინგორის სასახლეების, თბილისის, თელავის, სიღნაღის ისტორიული ზონების ძველი შენობებისა და რამდენიმე მღვიმის რესტავრაციისა და ადაპტაციის სამუშაოები.

ფართო განმარტებითი და პოპულარიზატორული მუშაობა ტარდება პრესით, რადიოთი და ტელევიზიით ძეგლთა დაცვის კანონმდებლობისა და მათი ისტორიულ-მხატვრული მნიშვნელობის შესახებ. ბევრი ორგანიზაცია შეფობას უწევს ცალკეულ ძეგლებსა და კომპლექსებს. სასარგებლო საქმეს აკეთებენ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის კოლექტივები, თელავის, საგარეჯოს, წალენჯიხის, ზუგდიდის, მახარაძის, გურჯაანის, გორის რაიონებისა და ქ. ჭიათურის ადგილობრივი ორგანოები.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით რესპუბლიკის ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა, სტუდენტებმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ ნაყოფიერად იმუშავეს უჯარმის, კაზრეთის ტაძრის, თბილისის სიონის და სხვა ძეგლების გამაგრებით-სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების დროს.

1978-1979 წლებში მთავარი სამმართველოს ფინანსური ბაზის განმტკიცების მიზნით ჩატარდა ფულისა და ნივთების რამდენიმე ლატარია.

ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური ორგანიზაციების თანამშრომლობით მთავარმა სამმართველომ მოაგვარა ტურისტული ობიექტების შერჩევის, მომსახურებისა და პოპულარიზაციის საკითხები. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მეშვეობით გაუმჯობესდა სუვენირებისა და პროპაგანდისტული ნაბეჭდი მასალის გავრცელების საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღწეულთან ერთად ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვა-და გამოყენების საქმეში არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, მისი ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო სათანადო ყურადღებას არ უთმობს რესპუბლიკის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და მხარეთმცოდნეობის მუზეუმების სამეცნიერო-მეთოდურ ხელმძღვანელობასა და მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვას. მუზეუმთა 70 პროცენტზე მეტს არა აქვთ დაცვითი და სახანძრო სიგნალიზაცია, სათანადოდ არ არის მოწყობილი დაცვა, მეტად მძიმე მდგომარეობაშია ფონდების სათავსოები, არასრულყოფილია აღრიცხვა, პასპორტიზაცია.

მთავარი სამმართველოს დაქვემდებარებაში არ არის მოქცეული ყველა ის ძეგლი და დაწესებულება, რომელთა გადაცემაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 24 თებერვლის № 105 დადგენილებით არის გათვალისწინებული. გვიანდება სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაციის რესპუბლიკური ცენტრის შექმნა, რაც აფერხებს რესპუბლიკის მუზეუმებში არსებული მასალის მოვლა-პატრონობის საქმეს.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება კულტურისა და ბუნების ძეგლთა ადაპტაციის გეგმა. მთავარმა სამმართველომ ჯერ კიდევ ვერ დაამყარა სათანადო კავშირი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან.

პროპაგანდისტული და საზედამხედველო საქმიანობის შესუსტებისა და უკონტროლობის გამო კვლავ არის ძეგლთა დაზიანებისა და განადგურების, იქ დაცულ კულტურულ ფასეულობათა გატაცების, ძეგლთა დაცვის ზონებში მიცვალებულთა დაკრძალვის შემთხვევები. ხშირია დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიერ არსებული კანონმდებლობის უხეშად დარღვევით სამეურნეო მიზნებისათვის ისტორიულ და კულტურულ ნაგებობათა გამოყენება, გადაკეთება-მიშენება. ასეთი ფაქტები იყო ადიგენის, ახალციხის, ამბროლაურის, გულრიფშის, მესტიის, კასპისა და სხვა რაიონებში.

სუსტად სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 9 იანვრის № 13 დადგენილება ადგილობრივი ბიუჯეტის ჭარბი შემოსავლის სახსრებით კულტურის ძეგლთა პროფილაქტიკური შეკეთებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის შესახებ. ჯერ კიდევ ხდება ძეგლების მცველთა საშტატო ერთეულების სხვა დანიშნულებით გამოყენება, ამ სამუშაოზე არაკომპეტენტურ პირთა დანიშვნა.

მთლიანად არ სრულდება დავალებები თანხების, მასალებისა და სატრანსპორტო საშუალებათა გამოყოფის შესახებ. მაგალითად, 1979 წელს საჭირო 2500 ტონა ცემენტის ნაცვლად მთავარ სამმართველოს მიეცა 600 ტონა, 3000 კუბური მეტრი დახერხილი ხე-ტყის ნაცვლად — 500 კუბური მეტრი, საერთოდ არ გამოუყვიათდასახერხი ხე-ტყე, ასევე არადამაკმაყოფილებელია ლითონით, აგურითა და სხვა მასალებით მომარაგება.

დავალებებს არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სა-

ქ. ბ. ...ის სახ. სახ. ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრო, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, ცეკავშირი, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო, საქმთავარწყალმშენი. მათ ჯერ კიდევ არ განუხორციელებიათ საკუთარი საშუალებებით კულტურის ძეგლებთან მისასვლელი გზებისა და ხიდების მშენებლობის, ელექტრომომარაგების, კანალიზაციის, წყალმომარაგების, კავშირგაბმულობის საშუალებათა მოწყობის, ქალაქების ისტორიულ ნაწილებში ნაგებობათა ადაპტაციის სამუშაოები.

საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 24 თებერვლის № 105 დადგენილების შესრულების მიზნით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან ერთად ფართოდ გაშალონ მუშაობა რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის, რესტავრაციისა და გამოყენების საქმის გაუმჯობესებისათვის, ბიუჯეტის ჭარბი შემოსავლის სახსრებით მათი კეთილმოწყობისა და პროფილაქტიკური შეკეთებისათვის.

2. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, ცეკავშირმა და საქმთავარწყალმშენმა მთლიანად არ შეასრულეს მთავრობის დადგენილებებით მიცემული დავალებანი. დაევალოთ მათ მთავარ სამმართველოსთან ერთად შეასრულონ ის სამუშაოები, რომლებიც დაკისრებული აქვთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 9 იანვრის № 13, 1975 წლის 2 ივნისის № 361, 1975 წლის 20 ნოემბრის № 685 და 1978 წლის 24 თებერვლის № 105 დადგენილებებით.

1980 წლიდან შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფონდმფლობელთა სიაში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა და საქსახსოფლტექნიკამ განაწილების გეგმებში გაითვალისწინონ მისთვის საჭირო მასალებისა და ტექნიკური რესურსების გამოყოფა.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა და საქსახსოფლტექნიკამ გამოუყონ 1979 წლიდან მთავარ სამმართველოს, განაცხადებით, ძეგლთა სარესტავრაციო სამუშაოებისათვის საჭირო მასალები, მოწყობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 19 დეკემბრის № 831 დადგენილების დანართი № 1

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტისა

I. რექტორატი
II. სამეცნიერო საბჭო
III. სასწავლო განყოფილება
  ა. კათედრები:
  1. სახალხო მეურნეობის მართვის კათედრა
  2. სოციალურ-ეკონომიკური დაგეგმვისა და ფინანსების კათედრა
  3. მართვის ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების კათედრა
  4. გამოთვლითი ტექნიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრა
  ბ. უცხო ენის დაჩქარებული სწავლების ლაბორატორია
IV. სამეცნიერო-მეთოდიკური განყოფილება
  ა. სექტორები:
  1. სასწავლო და მეთოდიკური მუშაობის სექტორი
  2. სასწავლო გეგმებისა და პროგრამების სექტორი
  3. კადრების კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური ქსელის მუშაობის ანალიზის სექტორი
  ბ. კინოფოტოლაბორატორია
  გ. ბიბლიოთეკა
V. სწავლების ტექნიკურ საშუალებათა განყოფილება
  1. გამოთვლითი ტექნიკის ლაბორატორია
  2. სწავლების საშუალებათა ლაბორატორია
VI. სისტემურ გამოკვლევათა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია
  ა. სექტორები:
  1. ოპერაციების კვლევისა და სისტემური ანალიზის სექტორი
  2. მართვის ობიექტების მოდელირების სექტორი
  3. აპარატის ხელმძღვანელ მუშაკთა და სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ ქსელში სწავლების აქტიური მეთოდების სრულყოფის სექტორი
  ბ. ხელმძღვანელის საქმიან თვისებათა შესწავლის მეთოდების ჯგუფი
VII. სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება
VIII. კადრების განყოფილება
IX. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა უცხოეთის ტურიზმის სამმართველომ და საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ ძეგლების დათვალიერების საფასური ყოველ კვარტალში ჩაურიცხონ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს. მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს 1979-1980 წლების ტურისტული საგზურის ღირებულებაში არ არის გათვალისწინებული ძეგლთა დათვალიერების საფასური, ამიტომ ამ საბჭოს საგზურების მქონე ტურისტული ჯგუფებისათვის აღნიშნული ღირებულების გადახდა დაწესდეს 1981 წლის 1 იანვრიდან.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 26 ივლისის № 720 განკარგულების თანახმად საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო ძეგლთა კეთილმოწყობისა და რესტავრაციისათვის საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებას ყოველწლიურად ჩაურიცხავს 125 ათას მანეთს.

13. დამტკიცდეს დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის კულტურის ძეგლთა შესწავლის, დაცვა-აღდგენისა და გამოყენების სამუშაოთა კოორდინაციის მუდმივი კომისიის შემადგენლობა № 2 დანართის თანახმად.

გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 20 ნოემბრის № 685 დადგენილებით შექმნილი კომისიის შემადგენლობა.

14. აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტროსთან შეიქმნას საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს აფხაზეთის განყოფილება 4 საშტატო ერთეულით მთავარი სამმართველოს მმართველობის აპარატის რიცხოვნობისა და ასიგნებათა ფარგლებში.

15. 1980 წლის 1 იანვრიდან ქ. სოხუმის გარეუბანში შეიქმნას აფხაზეთის ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმი. ამ მუზეუმის ადგილის შერჩევა და ექსპოზიციის გეგმის შედგენა დაევალოს აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის ენის, ისტორიისა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ 1980 წლის ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს აფხაზეთის ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმის შესანახი სახსრები.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 24 თებერვლის № 105 დადგენილების შესაბამისად ბუნების ძეგლების უწყებრივი მიკუთვნების მიზნით დაევალოს:

— არაცოცხალი ბუნების ძეგლთა დაცვა, აღრიცხვა და გამოყენება რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებსა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცოცხალი ბუნების ძეგლთა აღრიცხვა, გამოყენება და დაცვა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს.

17. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის, აღრიცხვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ კუთვნილების მიხედვით გამოავლინონ, აღრიცხონ და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს გადასცენ რესპუბლიკის ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ძეგლების დაზუსტებული სიები, შემდგომში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში დასამტკიცებლად წარმოსადგენად.

18. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ:

— ფართოდ გაშალოს მუშაობა რესპუბლიკის ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა აღრიცხვისა და პასპორტიზაციისათვის. არსებული წესით დაადგინოს ძეგლთა დაცვითი ზონები და აქტებით ჩააბაროს ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს. რეგირების გარეშე არ დატოვოს ძეგლთა დაზიანების და ხელყოფის არც ერთი შემთხვევა, საჭირო შემთხვევებში დაუყოვნებლივ გადასცეს მასალები ადმინისტრაციულ ორგანოებს რეგირებისათვის;

— მკაცრი კონტროლი დააწესოს, რომ ძეგლთა დაცვის ზონებში არ მოხდეს მიცვალებულთა დაკრძალვა;

— არ დაუშვას უკანონო მიშენებები და ისტორიულ-კულტურულ ნაგებობათა თვითნებური გამოყენება;

— 1980 წლის ბოლომდე დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად ჩააბაროს კულტურისა და არქიტექტურის ძეგლებში დაცული მოძრავი ძეგლების (ხატების, სურათების, დროშების, ხელნაწერების, ძველი წიგნებისა და სხვ.) პასპორტიზაცია და აქტებით ჩააბაროს ადგილებზე მცველებსა და ადგილობრივ ორგანოებს;

— საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად გადაწყვიტოს საკითხი ძეგლების მცველთა დამატებითი საშტატო ერთეულების გამოყოფის შესახებ;

— 1979 წლის 1 ოქტომბრამდე ჩამოაყალიბოს სახვითი ხელოვნების ძეგლთა რესტავრაციის ცენტრალური სახელოსნო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 24 თებერვლის № 105 დადგენილებით მთავარი სამმართველოსათვის გადაცემული საქართველოს ხელოვნების მუზეუმის რესტავრატორების შტატების გამოყენებით;

— თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად 1979 წლის 15 ივლისამდე მოაგვაროს საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის“ თბილისის ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამპროექტებელი სპეციალური სახელოსნოსა და თბილისის არქიტექტურულ ძეგლთა დაცვის ინსპექციის საქმიანობის ხელმძღვანელობის საკითხი.

19. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს დაქვემდებარებული ძეგლების მოსარგებლეებისაგან იჯარით მიღებული სახსრები გამოიყენოს ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური ინსპექციისა და ძეგლთა აღრიცხვის, კვლევისა და მუზეუმების სამმართველოს აპარატის შესანახად.

20. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ გაუხსნას სპეცანგარიში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს ძეგლების გამოყენების იჯარისა და ზარალის ანაზღაურების თანხების მისაღებად.

21. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკურმა საზოგადოებამ:

— გასწიოს მოსახლეობაში ძეგლთა დაცვისა და მათი მნიშვნელობის აქტიური პროპაგანდა, მოაწყოს საგანგებო გამსვლელი სესიები რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში მეცნიერების, ძეგლთა დაცვისა და ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობით, კრებულ „ძეგლების მეგობარში“ სისტემატურად მოათავსოს კრიტიკული წერილები და საცნობარო-განმარტებითი მასალა ძეგლთა დაცვის საკითხებზე;

— საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად მოამზადოს და შეკვეთის წესით 1981 წლის მეორე ნახევარში გამოსცეს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის კანონმდებლობის კრებული.

22. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის ჟურნალებმა და გაზეთებმა სისტემატურად გააშუქონ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მდგომარეობა.

23. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ 1979 წლის ნოემბერში მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 31 მაისი, № 382

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 31 მაისის № 382 დადგენილების დანართი № 1

ს ი ა

ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლებისა, რომელთა დათვალიერებისათვის წესდება საფასური

დასათვალიერებელი ობიექტის დასახელება	ობიექტის ადგილმდებარეობა
1. ალავერდის ანსამბლი	ახმეტის რაიონი
2. ანანურის ანსამბლი	დუშეთის რაიონი
3. არმაზის სამაროვანი და აბანო	მცხეთის რაიონი
4. ატენის ტაძარი	გორის რაიონი
5. ახალი ათონის მონასტერი	გუდაუთის რაიონი
6. ახალი შუამთის მონასტერი	თელავის რაიონი
7. ბაგრატის ტაძარი	ქ. ქუთაისი
8. ბეთანიის მონასტერი	მცხეთის რაიონი
9. ბოლნისის სიონის ანსამბლი	ბოლნისის რაიონი
10. გეგუთის კომპლექსი	ქ. წყალტუბოს ზონა
11. გელათის სამონასტრო ანსამბლი	ტყიბულის რაიონი
12. გერგეტის სამების ტაძარი	ყაზბეგის რაიონი
13. გრემის ნაქალაქარი	ყვარლის რაიონი
14. გურჯაანის „ყველაწმინდის“ ტაძარი	გურჯაანის რაიონი
15. დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალი	საგარეჯოს რაიონი
16. დმანისის ნაქალაქარი	დმანისის რაიონი
17. ვარძიის გამოქვაბულების კომპლექსი	ასპინძის რაიონი
18. ზარზმის სამონასტრო კომპლექსი	ადიგენის რაიონი
19. ზედაზენის მონასტერი	მცხეთის რაიონი
20. თბილისის მეტეხის ტაძარი	ქ. თბილისი
21. იყალთოს ანსამბლი	თელავის რაიონი
*22. მანგლისის ტაძარი	თეთრი წყაროს რაიონი
23. მარტვილის ანსამბლი	გეგეჭკორის რაიონი
24. „მოდი ნახეს“ ანსამბლი	საჩხერის რაიონი
*25. მოწამეთის მონასტერი	ქ. ტყიბულის ზონა
26. მოქვის ტაძარი	ოჩამჩირის რაიონი
27. მცხეთის ჯვარის ანსამბლი	მცხეთის რაიონი
28. ნიკორწმინდის ტაძარი	ამბროლაურის რაიონა
29. ნინოწმინდის ანსამბლი	საგარეჯოს რაიონი
30. მარტყოფის სამონასტრო ანსამბლი	გარდაბნის რაიონი
31. ნოქალაქევის კომპლექსი	ცხაკაიას რაიონი
32. პეტრას ციხე	ქობულეთის რაიონი
33. რკონის სამონასტრო ანსამბლი	კასპის რაიონი
34. რუისის კომპლექსი	ქარელის რაიონი
35. სათაფლიის მღვიმე	ქ. წყალტუბოს ზონა
36. სამთავისის ტაძარი	კასპის რაიონი
*37. სამთავროს ტაძარი	მცხეთის რაიონი
38. სამშვილდის ნაქალაქარი	თეთრი წყაროს რაიონი
39. საფარის სამონასტრო ანსამბლი	ახალციხის რაიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასათვალიერებელი ობიექტის დასახელება	ობიექტის ადგილმდებარეობა
*40. სვეტიცხოვლის ტაძარი	მცხეთის რაიონი
41. ტიმოთესუბნის მონასტერი	ბორჯომის რაიონი
42. უბისის მონასტერი	ორჯონიკიძის რაიონი
43. ურბნისის ტაძარი	ქარელის რაიონი
44. უფლისციხის ნაქალაქარი	გორის რაიონი
45. ქვათახევის სამონასტრო ანსამბლი	კავთისხევის რაიონი
46. შიო მღვიმის სამონასტრო ანსამბლი	მცხეთის რაიონი
47. ძველი გავაზის ტაძარი	ყვარლის რაიონი
48. ძველი შუამთის სამონასტრო ანსამბლი	თელავის რაიონი
49. ხერთვისის ციხის ანსამბლი	ასპინძის რაიონი

*) დათვალიერების საფასურს იხდიან ტურისტული საგზურის მქონე დამთვალიერებლები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 31 მაისის № 382 დადგენილების დანართი № 2

დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის კულტურის ძეგლთა შესწავლის, დაცვა-აღდგენისა და გამოყენების სამუშაოთა კოორდინაციის მუდმივი კომისიის შემადგენლობა

ი. ნ. ციციშვილი — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);

დ. ი. მაძისაშვილი — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს განყოფილების გამგის მოადგილე (კომისიის მდივანი);

გ. ვ. აბრამიშვილი — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი;

ნ. ნ. ალხაზიშვილი — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა რესტავრაციისა და ადაპტაციის სამმართველოს უფროსი;

ბ. შ. ბოჭორიშვილი — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე;

გ. ა. გოგოლაძე — „საქმთავარენერგოს" სასოფლო და კომუნალური ენერგეტიკის სამსახურის უფროსი;

პ. პ. კახიძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილე;

მ. ა. მეზვრიშვილი — საქართველოს კპ საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი;

თ. გ. ნათიძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა აღრიცხვის, კვლევისა და მუზეუმების სამმართველოს უფროსი;

ე. გ. რჩეულიშვილი — საქმთავარწყალმშენის უფროსის მოადგილე;

კ. პ. ტაბატაძე — საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მ. მ. ქებულაძე — ინსტიტუტ „საქშახტპროექტის" მთავარი სპეციალისტი;

ი. ე. ქვლივიძე — დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი;

გ. დ. ყიფიანი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;

გ. დ. ჭეიშვილი — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანების მხატვარი-რესტავრატორი;

შ. ა. ჯაბუა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

48 სოფელთან კავშირგაწყვეტილ პირთა მფლობელობაში არსებული სახლებითა და დამხმარე ნაგებობებით დაკავებული მიწის ფართობების აღრიცხვის მოწესრიგებისა და მათი გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ცხოვრობს ბევრი მოქალაქე, რომელთაც გაწყვიტეს კავშირი სოფელთან, მაგრამ აქვთ იქ საკუთარი ან მემკვიდრეობით მიღებული სახლები დამხმარე სადგომებითურთ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად ამ მოქალაქეებს უნარჩუნდებათ საკუთრების უფლება სოფლად მდებარე სახლებზე, რომლებიც მფლობელებმა და მათი ოჯახების წევრებმა შეიძლება გამოიყენონ დასასვენებლად ან სამკურნალოდ. ამავე დროს აღნიშნულ მოქალაქეებს, მოყოლებული 1962 წლიდან, მთლიანად ჩამოერთვათ საკარმიდამო ნაკვეთები, მათ შორის საცხოვრებელი სახლებითა და დამხმარე ნაგებობებით დაკავებული ფართობებიც, და მათს მფლობელობაში დარჩა საცხოვრებელი სახლები და დამხმარე ნაგებობანი. სახლების მფლობელნი ამორიცხული არიან ზონარგაყრილი და საკომლო წიგნებიდან. საცხოვრებელი სახლებითა და დამხმარე ნაგებობებით დაკავებული ფართობი მათზე არსად არ არის გაფორმებული და ამ ფართობისათვის მათ არ ახდევინებენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადს. ფაქტიურად კი ხსენებული მოქალაქენი სარგებლობენ საცხოვრებელი სახლებით, დამხმარე ნაგებობებითა და ეზოებით დაკავებული ფართობებით, რომელთა მთლიანად ჩამორთმევა და კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების მიერ გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია.

აღნიშნული მიწის ნაკვეთების სახელმწიფო აღრიცხვის მოწესრიგებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მათი უკეთ გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოთ სოფელთან კავშირგაწყვეტილ პირებსა და მემკვიდრეობით საცხოვრებელი სახლების მიმღებ პირებს ისარგებლონ სოფლად კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი სახლებით, დამხმარე ნაგებობებითა და ეზოებით დაკავებული მიწის ფართობით, მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში არა უმეტეს 0,06 ჰექტარისა, კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების, საბჭოთა მეურნეობისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს დირექციის გადაწყვეტილებით, რომელსაც დაამტკიცებს სასოფლო საბჭოს აღმასკომი, და იმ პირობით, თუ დასახელებული კატეგორიის მოქალაქენი არ ფლობენ სხვა ადგილებში ისეთი ზომის მიწის ნაკვეთებს, რომლებიც ახლად გამოყოფილ ფართობთან ერთად შეიძლება აღემატებოდეს მათთვის დაწესებულ მიწათსარგებლობის ნორმებს, და კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის გაძღოლის მიზნით ქალაქის მცხოვრებთათვის მინიჭებული უფლებების გათვალისწინებით.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა დაავალონ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელებს და სახალხო დეპუტატთა სასოფლო (სადაბო) საბჭოების აღმასკომებს, აგრეთვე ურჩიონ კოლმეურნეობათა გამგეობებს ზუსტად გაუფორმონ სახლთმფლობელებს მიწის ფართობები ამ დადგენილების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით (0,06 ჰექტარამდე), ამასთან შეიტანონ ისინი სახალხო დეპუტატთა სასოფლო (სადაბო) საბჭოების აღმასკომების ზონარგაყრილ წიგნებსა და საკომლო წიგნებში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ნუსხა, რომლებიც ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს ან შეიცვალოს ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 6 ივნისი, № 400

49 საქართველოს სსრ მხატვრული თვითმოქმედების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ[1])

„ჩვენს ქვეყანაში მხატვრული თვითმოქმედების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 23 მარტის № 275 დადგენილების შესაბამისად და რესპუბლიკაში მხატვრული თვითმოქმედების განვითარებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების, მშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ, შრომითს, ზნეობრივ-ესთეტიკურ აღზრდაში მისი როლის ამაღლებისა და თავისუფალი დროის უკეთ გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და მის ადგილობრივ ორგანოებს:

— რესპუბლიკაში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისა და მხატვრული თვითმოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობა, ყველა საკლუბო დაწესებულებისა და თვითმოქმედი კოლექტივების სისტემატური მეთოდური დახმარება, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

— კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დარგში უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ წარმოებულ გამოკვლევათა კოორდინაცია.

2. იმ მიზნით, რომ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ტერიტორიაზე შეიქმნას საერთო შტატებითა და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფილი ერთიანი ცენტრალიზებული საკლუბო სისტემები ცენტრა-

1) დანართები არ იბეჭდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ კარმიდამოში განლაგებული კულტურის სახლის (კლუბის) მეთაურობა. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა პროფკავშირთა რესპუბლიკურ და საოლქო საბჭოებთან ერთად, სათანადო პირობებისა და მთავარი კულტურის სახლის (კლუბის) დაქვემდებარების შესაბამისად გადასცენ საკლუბო დაწესებულებანი კულტურის ორგანოთა ან პროფკავშირთა გამგებლობაში.

3. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის ბაზაზე შეიქმნას ხალხური შემოქმედებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ერთიანი სამეცნიერო-მეთოდური რესპუბლიკური ცენტრი ყველა საკლუბო დაწესებულებისა და მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივისათვის მეთოდური დახმარების გასაწევად, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა ხალხური შემოქმედების საოლქო სახლისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საოლქო მეთოდური კაბინეტის ბაზაზე შექმნან ხალხური შემოქმედებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრები ყველა საკლუბო დაწესებულებისა და მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივისათვის მეთოდური დახმარების გასაწევად, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

5. მხატვრული თვითმოქმედებისათვის რეპერტუარის შექმნისა და ნაწარმოებების შერჩევისათვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში შეიქმნას სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგია კვალიფიციური რედაქტორებისაგან, აგრეთვე მწერლებისა და კომპოზიტორებისაგან. სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგია განისაზღვროს 9 საშტატო ერთეულით და 1495 მანეთი ყოველთვიური ხელფასის ფონდით, № 1 დანართის თანახმად.

6. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიისა და ხალხური შემოქმედებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის შექმნა და დაფინანსება განხორციელდეს რესპუბლიკის ბიუჯეტის ასიგნებათა ფარგლებში მმართველობის აპარატის შესანახ ზღვრულ ასიგნებათა გაუდიდებლად.

7. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 23 მარტის № 275 დადგენილებით:

— ნება დაერთო მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს კოლმეურნეობების, კოოპერაციული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების თხოვნით მიიღონ მათგან უსასყიდლოდ გადაცემული, სოფელ ადგილებში განლაგებული საკლუბო დაწესებულებები ამ დაწესებულებათა კუთვნილი ინვენტარითა და სხვა ქონებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფენ ამ შენობათა მოვლა-შენახვას და უსასყიდლოდ მისცემენ გამოსაყენებლად კულტურის ორგანოებს;

— დაწესდა, რომ კულტურის ორგანოთა გამგებლობაში პროფკავშირთა საკლუბო დაწესებულებების გადაცემის დროს ამ დაწესებულებათა შენობები შესაძლებელია დარჩეს საბჭოთა მეურნეობების ბალანსზე, რომლებიც პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით თავისი სახსრებით უზრუნველყოფენ ამ შენობათა მოვლა-შენახვას და უსასყიდლოდ მისცემენ გამოსაყენებლად კულტურის ორგანოებს;

— რჩევა მიეცათ კოლმეურნეობებს კულტურის ორგანოების გამგებლობაში სოფლად განლაგებული საკლუბო დაწესებულებების გადაცემის დროს თავიანთ ბალანსზე დაიტოვონ ამ დაწესებულებათა შენობები, უზრუნველყონ მათი მოვლა-შენახვა საკუთარი სახსრებით და უსასყიდლოდ მისცენ გამოსაყენებლად ისინი კულტურის ორგანოებს;

— სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიების მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები დაწესდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 სექტემბრის № 1033 დადგენილებით დამტკიცებული განაკვეთების დონეზე იმ დაზუსტებათა გათვალისწინებით, რომლებიც შეტანილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1976 წლის 24 დეკემბრის № 1057 დადგენილებით. შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანა განხორციელდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 16 ნოემბრის № 920 დადგენილებით გათვალისწინებულ ვადებში;

— დაწესდა ხალხური შემოქმედებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრების მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები № 2 დანართის მიხედვით;

— დაევალა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით განსაზღვროს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრების მუშაკთა ანაზღაურების ჯგუფებისათვის მიკუთვნების წესი და მაჩვენებლები.

8. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 23 მარტის № 275 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს 1979 წელს დამატებით გამოუყოს შესაბამისი საბიუჯეტო სახსრები ხალხური შემოქმედებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრისა და სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიის შექმნასთან დაკავშირებით.

9. „მხატვრული თვითმოქმედების განვითარების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის 2 აგვისტოს დადგენილების შესრულების მიზნით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოში შეიქმნას საკლუბო მუშაობისა და ხალხური შემოქმედების განყოფილება ამ სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართველოსათვის დამტკიცებული საშტატო ერთეულებისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 6 ვნისი, № 401.

50 კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების რეკომენდაციებში ცვლილებათა შეტანის შესახებ

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის 1979 წლის 21 თებერვლის № 441 წერილის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. პროდუქციის წარმოების გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესების, საშუალო რგოლის ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლებისა და მათი მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით რჩევა ძიეცეთ კოლმეურნეობებს მიანიჭონ I და II კლასის წოდება სოფლის მეურნეობის იმ სპეციალისტებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ მემცენარეობისა და მეცხოველეობის ბრიგადებს, და დაუწესონ მათ ხელფასის დანამატი შესაბამისი თანამდებობრივი სარგოს (სატარიფო განაკვეთის) 20-30 პროცენტისა და 10-15 პროცენტის ოდენობით.

ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 7 აგვისტოს № 549 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების რეკომენდაციების მე-5 პუნქტის (თავი XII) მეორე აბზაცი, რომლითაც საწარმოო ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს უწესდებათ დანამატი განათლების ცენზისათვის.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს რეკომენდაციების XIII თავის პირველი პუნქტის მესამე ქვეპუნქტის მეორე აბზაცი, რომლითაც კოლმეურნეობათა ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკსა და სპეციალისტს უწესდებათ თანამდებობრივი განაკვეთის დანამატი მოცემულ მეურნეობაში მუშაობის განუწყვეტელი სტაჟისათვის.

3. ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით რეკომენდაციების შემდეგი თავები:

ა) თავი IV, პუნქტი XI — „მარცვლეულისა და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების მოსავლის გადიდებით მატერიალური დაინტერესების ამაღლების მიზნით რეკომენდებულია კომბაინერებსა და მათ თანაშემწეებს დაერიცხოთ დამატებითი ანაზღაურება ჰექტარზე საკონტროლო ლეწვით დადგენილ ნორმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადამეტებით გალეწილი თითოეული ცენტნერი მარცვლეულისათვის შემდეგი საჰექტარო მოსავლიანობისას:

25 ცენტნერი ჰექტარზე	— 50 კაპიკი
25-დან 30 ცენტნერამდე	— 60 კაპიკი
30-დან 35 ცენტნერამდე	— 70 კაპიკი
35-დან 40 ცენტნერამდე	— 80 კაპიკი
40-დან 45-ცენტნერამდე	— 90 კაპიკი
45-დან 50 ცენტნერამდე	— 1 მანეთი
50 ცენტნერზე ზევით	— 1 მანეთი და 10 კაპიკი

რეკომენდებულია დამატებითი ანაზღაურების გაცემა მოხდეს მატერიალური წახალისების ფონდის სახსრებიდან".

ბ) თავი VI, პუნქტი II, მეთერთმეტე აბზაცი — „ზემოჩამოთვლილ სამუშაოებზე დასაქმებულ ბრიგადირებს, უფროს და დამხმარე მუშებს შრომა აუნაზღაურდებათ იმავე სატარიფო განაკვეთებით, რომლებითაც შრომა უნაზღაურდებათ ამ სამუშაოებზე დასაქმებულ ამავე პროფესიების მუშებს".

გ) თავი XII, მუხლი II, მეორე აბზაცი — „მემცენარეობასა და მეცხოველეობაში დასაქმებული განთავისუფლებული ბრიგადირების შრომის ანაზღაურება შეიძლება წარმოებდეს პირველი ჯგუფის რაიონების მეურნეობების ტრაქტორისტ-მემანქანეების დროებრივი განაკვეთების III-VI თანრიგების შესაბამისად, ბრიგადის სიდიდის გათვალისწინებით, ამასთან V და VI თანრიგით შეიძლება შრომა აუნაზღაურდეთ განსაკუთრებით მსხვილი ბრიგადის ბრიგადირებს".

დ) თავი XII, პუნქტი V, პირველი აბზაცი — „რეკომენდებულია საწარმოო ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს (გარდა უბნის, განყოფილების უფროსებისა) და სპეციალისტებს თანამდებობრივი განაკვეთების გადამეტებით დაერიცხოთ დანამატი პროდუქციისათვის ბრიგადის (ფერმის) კოლმეურნეთა თანაბრად ბრიგადაში (ფერმაში) მიღებული პროდუქციის ერთეულის დადგენილი შეფასებებით".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 13 ივნისი, № 409

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

51 ნაკრები ყველის შესასყიდი ფასების შესახებ

რძისაგან ყველის გამომუშავებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ზარალის ლიკვიდაციის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. იმასთან დაკავშირებით, რომ შეუძლებელია მოუხდელი რძის მიღება და გამოზიდვა მთელი რიგი საზაფხულო საძოვრებიდან, აგრეთვე ზოგიერთი მაღალმთიანი კოლმეურნეობიდან და საბჭოთა მეურნეობიდან უგზოობის გამო, ნება დაერთოს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მოყოლებული 1979 წლის 25 ივნისიდან, მიიღოს ნაკრები ყველი აღნიშნულ საზაფხულო საძოვრებზე, ხსენებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან და გადაუხადოს მათ ნაკრები ყველის ღირებულება მეორე ხარისხის საბაზისო ცხიმიანობის რძის ჩასათვლელი წონის მიხედვით ტონაში 300 მანეთის ოდენობით.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროსთან ერთად განსაზღვრონ იმ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ნუსხა, რომლებისგანაც საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს არ შეუძლია მიიღოს მოუხდელი რძე, და ერთი კვირის ვადაში დაუგზავნოს იგი შესაბამისი რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს აუნაზღაუროს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს დამზადებული ნაკრები ყველის ფასთა სხვაობა, რძის ჩასათვლელი წონის გათვალისწინებით, მოქმედი წესის შესაბამისად.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილებას და სოფლის მეურნეობისა და დამზადების განყოფილებას შეამოწმონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 27 ოქტომბრის № 940 განკარგულების შესრულების მიმდინარეობა და შედეგების შესახებ ერთი თვის ვადაში მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

4. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში დადგენილების პროექტი „საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 აპრილის № 237 დადგენილების შესაბამისი შეცვლის თაობაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

52 საქართველოს სსრ საკოლმეურნეო ბაზრებში გაწეული მომსახურების ანაზღაურების ზღვრული განაკვეთები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის წინადადება, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან, და დამტკიცდეს სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ რეკომენდებული საქართველოს სსრ საკოლმეურნეო ბაზრებში გაწეული მომსახურების ანაზღაურების ზღვრული განაკვეთები, დახართის თანახმად.

2. დაევალოთ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით, დამტკიცებული ზღვრული განაკვეთების საფუძველზე, დააწესონ ქალაქის (რაიონის) ტერიტორიაზე განლაგებულ საკოლმეურნეო ბაზრებში გაწეული მომსახურების ანაზღაურების განაკვეთები.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საკოლმეურნეო ბაზრებში მომსახურებისათვის ანაზღაურების განაკვეთების შემცირების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 26 სექტემბრის № 1261 დადგენილების I პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჟვანია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 22 ივნისი, № 435

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 22 ივნისის № 435
დადგენილების დანართი

საქართველოს სსრ საკოლმეურნეო ბაზრებში გაწეული მომსახურების ანაზღაურების ზღვრული განაკვეთები

გაწეული მომსახურების დასახელება	მომსახურების ანაზღაურების ზღვრული განაკვეთის ოდენობა
ხორცის დაჭრა (დახლის სასწორის და სხვა სავაჭრო ინვენტარის — დანების, ჩანგლების, ხონჩების გაცემასთან ერთად)	კილოგრამი 6 კაპიკი
სასწორის გაქირავება	30 კაპიკი სავაჭრო დღეში
სასაქონლო სასწორით აწონა ბაზრის მწონავის მიერ	20 კაპიკი ყოველი წონა
საავტომობილო სასწორით პროდუქტებით დატვირთული ავტომანქანებისა და საზიდრების აწონა (შემდგომში დაცლილი მანქანისა და საზიდრის აწონასთან ერთად)	40 კაპიკი
დახლის სასწორით პროდუქტების აწონა ბაზრის მწონავის მიერ	კილოგრამი 3 კაპიკი
სავაჭრო ინვენტარისა (კოვზები, კალათები, აქანდაზები, დანები, ჩანგლები, ძაბრები და სხვ.) და თხევადი საქონლის (რძის, ზეთის და სხვ.) საწყავ-ჩამოსასხმელი საშუალებების კომპლექტები	6 კაპიკი სავაჭრო დღეში ყოველი სახეობის მომსახურებისათვის
სანიტარიული ტანსაცმლით სარგებლობა (წინსაფრები, სამკლავურები)	40 კაპიკი სავაჭრო დღეში
შენიშვნა: მხოლოდ წინსაფრისა ან სამკლავურისათვის	20 კაპიკი სავაჭრო დღეში
იმ პირთა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნივთების შენახვა, რომლებიც ბაზრის სპეციალურ სათავსებში ვაჭრობენ:	
— მაცივრებსა და საყინულეებში	ერთი კილოგრამი დღე-ღამეში — 4 კაპიკი
— საწყობებსა და ბოსტნეულსაცავებში	10 კილოგრამი დღე-ღამეში — 8 კაპიკი
— მოვაჭრეთა ნივთების შემნახველ საკანში	ერთი ადგილი დღე-ღამეში — 15 კაპიკი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

53 საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს ბუნებისადმი კონტროლის სამმართველოს ცალკეული ორგანიზაციების მუშაკებისათვის საბინაო შეღავათების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის იმ ქვედანაყოფებში კადრების შენარჩუნების მიზნით, რომლებიც განლაგებული არიან მაღალი მთისა და ძნელად მისადგომ ადგილებში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 11 იანვრის № 38 დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ცნობად და სახელმძღვანელოდ იქნეს მიღებული, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1979 წლის 11 იანვრის № 38 დადგენილებით.

— სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემო ბუნებისადმი კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის ორგანიზაციათა მუშაკებს, რომლებმაც სულ ცოტა 10 წელი იმუშავეს უკიდურესი ჩრდილოეთისა და მასთან გათანაბრებული ადგილების რაიონებში, და ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურებში, რომლებიც განლაგებულია ძნელად მისადგომ რაიონებში (სადგურების იმ ნუსხის მიხედვით, რომელსაც სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემო ბუნებისადმი კონტროლის სახელმწიფო კომიტეტი ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 15 იანვრის № 171 დადგენილების თანახმად), ხოლო მუშაკებს, რომლებიც დაინვალიდნენ, — ამ ვადის გასვლამდე, უფლება მიანიჭა ამ კომიტეტის შესაბამისი ორგანიზაციების რეკომენდაციით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში შევიდნენ ქვეყნის სხვა ქალაქებში, მოკავშირე რესპუბლიკათა ადმინისტრაციული ცენტრების, ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის, მოსკოვის ოლქისა და საკურორტო ადგილების გარდა, ამ ქალაქში ჩაწერის მიუხედავად, ხოლო შესაბამისმა სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღოს აღნიშნული პირები საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებად;

— მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება მიანიჭა ძნელად მისადგომ რაიონებში, მაგრამ არა უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და მასთან გათანაბრებული რაიონების ადგილებში, განლაგებული ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურების მუშაკებს (სადგურების იმ ნუსხის მიხედვით, რომელსაც სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემო ბუნებისადმი კონტროლის სახელმწიფო კომიტეტი ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 15 იანვრის № 171 დადგენილების თანახმად) დაუჯავშნოს საბინაო ფართობი წინანდელ საცხოვრებელ ადგილას ამ სადგურებში მათი მუშაობის მთელი პერიოდის მანძილზე და ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემო ბუნებისადმი კონტროლის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დაადგინოს აღნიშნული მუშაკებისათვის საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის წესი.

2. აღნიშნულის საფუძველზე სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ მაღალი მთისა და ძნელად მისადგომ ადგილებში განლაგებული ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურების მუშაკებისათვის საბინაო ფართობის დაჯავშნა წინანდელ საცხოვრებელ ადგილას ამ სადგურებში მათი მუშაობის მთელი პერიოდის მანძილზე საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემო ბუნებისადმი კონტროლის სამმართველოსთან შეთანხმებით დაჯავშნოს დადგენილი წესის შესაბამისად, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 29 ივნისის № 451 დადგენილების დანართი

ნუსხა

ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურებისა, რომლებიც განლაგებულია საქართველოს სსრ ძნელად მისადგომ და მაღალმთიან რაიონებში და რომელთა მუშაკები საბინაო შეღავათებით სარგებლობენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 11 იანვრის № 38 დადგენილების შესაბამისად

1. ბახმარო
2. გოდერძის უღელტეხილი
3. გაგრის ქედი
4. ზეკარის უღელტეხილი
5. კორუნდაში
6. მაღალმთიანი ყაზბეგი
7. ჯვრის უღელტეხილი
8. ლებარდე
9. მთა-საბუეთი
10. მამისონის უღელტეხილი
11. ომალო
12. როდიონოვკა
13. ცხრაწყარო
14. შოვი
15. ერმანი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

54 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დანართში აღნიშნულ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებისა და ცალკეული უწყებების იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სიას, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, დაემატოს შემდეგი პუნქტი:

„109. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ინდექსი — 76187

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2. 1979 года

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/X-79 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16
საბეჭდი თაბახი 2,5, სააღრიცხვო თაბახი 2,5.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა № 774 უე 01562 ტირაჟი 1750

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

ეროვნული
ბიბლიოთეკა